საჩვენებელი/სამოდელო წერა

მასწავლებელი მთელი კლასის წინაშე ახდენს წერის რომელიმე კონკრეტული ასპექტის დემონსტრირებას მოსწავლეებთან ერთად შექმნილი მარტივი ტექსტის მაგალითზე და ყურადღებას ამახვილებს მის ჟანრზე, ფორმატზე, სტრუქტურაზე და სხვ.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: დაფა და ცარცი/დიდფორმატიანი ქაღალდი და მარკერი.

მსვლელობა

საფეხური 1. წერის მიზნის გაცნობა. მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს, თუ რის შესახებ მოუწევთ მათ წერა (მაგ., საყიდლების სიის შედგენა).

საფეხური 2. წინარე ცოდნის გააქტიურება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან მოსაზრებები დასახელებულ თემასთან დაკავშირებით (მაგ., როგორ ადგენენ მათი მშობლები საყიდლების სიას, რას ყიდულობენ სხვადასხვა მაღაზიაში და ა.შ.).

საფეხური 3. საჩვენებელი წერა. მასწავლებელი წერს ტექსტს დაფაზე, გზადაგზა ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით აღწერს წერის პროცესს და განმარტავს, როგორ უნდა შეარჩიოს დასაწყისისა და დასასრულის წინადადებები ან ესა თუ ის სიტყვა, როგორ უნდა იყოს ტექსტი სტრუქტურირებული (მაგ., როგორ უნდა შედგეს საყიდლების სია, რაში ეხმარება ამ სიის ჩამოწერა, რა პროდუქტები უნდა იყიდოს ამჯერად და სხვ.).

საფეხური 4. ტექსტის გადახედვა/რედაქტირება. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, რათა ჩაასწოროს შეცდომები, შეავსოს ან ამოიღოს ზედმეტი მონაკვეთები, გზადაგზა ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით განმარტავს თავის ნაბიჯებს.

საფეხური 5. გაზიარება/პრეზენტაცია. მასწავლებელი დაკიდებს ტექსტს თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მისი წაკითხვის საშუალება.

შენიშვნა:

მნიშვნელოვანია, რომ ერთად შესაქმნელი ტექსტის თემატიკა იყოს მოსწავლეებისთვის ავთენტური, ეყრდნობოდეს მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ბავშვებს გაუადვილდეთ პროცესში ჩართვა. მასწავლებელი ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით მოახდენს იმ ნაბიჯების დემონსტრირებას, რომელთაც ავტორი გადის წერის პროცესში (მაგ., იდეების გენერირება, ფიქრებისა და ემოციების გადმოცემისათვის შესაფერისი სიტყვების შერჩევა, გრამატიკის/მართლწერის წესების გამოყენება და სხვ.). სასურველია, საჩვენებელი წერა გაკვეთილის ყოველდღიურ, 10-წუთიან ნაწილს შეადგენდეს.